ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“

წევრების და ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 20.11.2017-31.10. 2018 წწ პერიოდში გაწეული მუშაობის

ანგარიში

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობიდან 2018 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში ფრაქციის წევრები და ფრაქცია აქტიურად იყო ჩართული საკრებულოს 11 მორიგ და 14 რიგგარეშე სხდომაზე მიღებული 80 დადგენილებისა და 92 განკარგულების განხილვაში საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებული უფლებების, მოთხოვნების, ვალდებულებების და დადგენილი წესების შესაბამისად.

ფრაქციის წევრები გაერთიანებული არიან და ღებულობენ მონაწილეობას საკრებულოში შექმნილ ყველა კომისიაში.

საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე გოჩა გურგუჩიანი:

- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

-ქონების მართვისა და ბუნებრივ რესურსების მართვის საკითხთა კომისია;

საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე მირანდა საღინაძე:

-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია;

საკრებულოს და ფრაქციის წევრი ალექსი მახარობლიძე:

-სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია;

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნილ სხვადასხვა საკითხებზე გამართული იქნა ფრაქციის 11 სხდომა.

ფრაქციის მიერ მომზადდა ერთიანი პოზიცია ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე:

- ცაგერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების დამაკმაყოფილელად ცნობის თაობაზე წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ მომზადდა შესაბამისი დასკვნა. დასკვნაში აღნიშნული იქნა ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობის შესახებ. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების ყველა პროცედურის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეფექტური განხორციელებისა და კონტროლის მიზნით გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაუსაბუთებელი მიზნობრივობის ხარჯების შემცირების გადაუდებელი აუცილებლობა და ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების წარმოდგენა საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების სახით .
- ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისათვის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირებზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის პროექტზე წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებული ზღვრული ოდენობის ზემოთ კანონით გათვალისწინებული წესით შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა დანიშვნის აუცილებლობის დაუსაბუთებლობისა და რიგ შემთხვევაში კანონის მოთხოვნებთან წინააღმდეგობების არსებობის გამო.
- ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისა და 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის # 65 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ, ბიუჯეტის დაგეგმვასა და შემდეგ თანმდევ საბიუჯეტო პროცესებში მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებული რიგი საკითხების საერთოდ უგულველყოფის და ცალკეული მუნიციპალური პროგრამების, ღონისძიებების არასათანადოთ დაფინანსების და ხარვეზებით შესრულების გამო. რაც უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილბაზე. (მ./შორის შიდა სასოფლო გზების სარემომონტო-სარეაბილიტაციო, მოსახლეობის სასმელი წყლით, მუნიციპალური ტრანსპორტით და გარე განათების ქსელით უზრუნველყოფის საკითხები.)

ფრაქციის წევრებისა და ფრაქციის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებაში არსებულ ზემო აღნიშნულ ხარვეზებს, მუნიციპალიტეტის ქონების კანონიერი და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად განკარგვას როგორც კომისიებში მუშაობის პროცესში, ასევე საკრებულოზე შესაბამისი საკითხების დასმით.

საკრებულოზე არაერთხელ იქნა დასმული საკითხები:

-არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის შესახებ, რათა მოხდეს მათი ჩამოყალიბება კანონმდებლობის შესაბამისად კონკრეტული ფუნქციური დატვირთვით მოსახლეობის ინტერესებს მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხებზე და არა გაურკვეველი ფიქტიური ფუნქციებით, როგორც დღეს არის რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი.

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების (როგორც არასამეწარმეო(არაკომერციული), ასევე სამეწარმეო) საქმიანობის სრულყოფილი ანგარიშების წარმოდგენის შესახებ.

ფრაქციის წევრების და ფრაქციის მიერ სისტემატიურად ხდება საკრებულოს სხდომებზე განცხადებების გაკეთება, საკითხის დასმა მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრებისას წამოჭრილ პრობლემებზე, როგორც მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ასევე ცალკეულ კონკრეტული ლოკაციის მიხედვით. მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე მათთვის პრობლემურ საკითხებზე ხდება კონსულტაცია/დახმარების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში საკითხის დაყენება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურებისადმი.

აქედან გამოვყოფთ :

- საკრებულოს ზედიზედ რამდენიმე სხდომაზე დასმული იქნა საკითხი მუნიციპალიტეტში გარე განათების უზრუნველყოფის მხრივ შექმნილ პრობლემებზე. დაყენებული იქნა საკითხი ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების გაერთიანებული სხდომის გამართვის თაობაზე, საკითხის შესაბამისი განხილვის , საჭირო წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, რათა ამ მხრივ უზრუნველყოფილიყო მოსახლეობაზე გარე განათების უწყვეტი სერვისის მიწოდება და არა ისეთი ხარვეზებით, როგორც ეს განხორციელდა 2017-2018 წლებში.
- დასმული იქნა საკითხი საავტომობილო საქალაქო მარშრუტებზე, კერძოდ ცაგერი-ქუთაისის ერთ-ერთ მარშრუტზე რომელსაც ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმო შპს ,,საჭე ცაგერი", მგზავრობის ღირებულების კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლო დარეგულირების საკითხის შესწავლის შესახებ.
- სისტემატიურად არის დასმული საკითხები ინფრასტრუქტურული პროექტების და მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელი პროექტების დროული და ხარისხიანი შესრულების

უზრუნველსაყოფად. რაც ხორციელდება მნიშვნელოვანი შეფერხებებით და მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემები გვარდება არა მყისიერად, არამედ წლების დაგვიანებით და შესასრულებელი პერიოდის მრავალჯერადი გადავადებებით.

- ფრაქციის წევრები და ფრაქცია თვითმმართველობის ორგანოებში მიმდინარე რეორგანიზაციებთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, როგორიც არის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირებისა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცება(შემცირება/ გაზრდა), რომელიც განეკუთვნება საკრებულოს უფლებამოსილებას, მუდმივად ატარებდა კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო მოსამსახურეთა უფლებების მაქსიმალურად დაცვის და საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმის უზრუნველყოფის კურსს.

ფრაქციის წევრების და ფრაქციის მიერ იგეგმება ყველა იმ პრობლემატურ საკითხზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმებით მუშაობის გაგრძელება, რომლებიც მოქალაქეთა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით იქნა დასმული, არ იქნა გადაჭრილი ან განხორციელდა ნაწილობრივ. ასევე იგეგმება ყველა იმ საკითხზე მუშაობა, რომლებიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის სწორ, მიზნობრივ დაგეგმვას და შესრულებას, მოსახლეობისა და მოქალაქეთათვის ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“

თავმჯდომარე გოჩა გურგუჩიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“

თავმჯდომარის მოადგილე მირანდა საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წევრი ალექსი მახარობლიძე